THE BEST QUALITY OF GEORGIA

# #1 annual quality report

EUROPEAN ORGANIZATION FOR QUALITY
GEORGIAN QUALITY FOUNDATION

THE BEST QUALITY OF GEORGIA

ევროპის ხარისხის ორგანიზაციის ნაციონალური წარმომადგენელი საქართველოში - საქართველოს ხარისხის ფონდი (**GQF**), თბილისის მერიის პატრონაჟით, 2011 წლის 1-3 დეკემბერს ატარებს ევროპის ხარისხის ორგანიზაციის 117-ე გენერალურ ასამბლეას, რომელშიც 34 ქვეყნის ხარისხის ნაციონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი მიიღებს მონაწილეობას.

ევროპის ხარისხის ორგანიზაცია არის ავტონომიური, ინტერდისციპლინალური გაერთიანება და მომართულია ხარისხის მენეჯმენტის სფეროს გაუმჯობესებისაკენ. იგი კოორდინირებას უწევს და ხელს უწყობს მასში გაერთიანებულ ნაციონალურ წარმომადგენელ ორგანიზაციებს, არის ევროპის წამყვანი პრომოუტერი ხარისხის სფეროში და მისი მიზანია გააუმჯობესოს ევროპული საზოგადოების ცხოვრების დონე, ხარისხის ამაღლებისა და განვითარების ყველა შესაძლო გზით.

გენერალური ასამბლეის ფარგლებში დაგეგმილია კატალოგის "**The Best Quality of Georgia**" პრეზენტაცია. პროექტის იდეა სრულად ესადაგება ევროპის ხარისხის ორგანიზაციის 116-ე გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ გადაწყვეტილებას; ხარისხის ნაციონალურმა ორგანიზაციებმა წარადგინონ ინფორმაცია (**Annual Quality Report**) მაღალი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი ორგანიზაციების შესახებ.

პროექტის მთავარი მიზანია საქართველოს სამომხარებლო ბაზარზე არსებული ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების წარმოჩენა, მწარმოებელი და მომსახურების სფეროში დასაქმებული კომპანიების სტიმულირება, მომხარებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გაცნობიერება საქართველოში წარმოებული ხარისხიანი სანდო და უსაფრთხო პროდუქტების, ასევე საუკეთესო მომსახურების სფეროში.

პროექტის მონაწილენი

- საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები, ორგანიზაციები და კერძო პირები, რომლებიც აწარმოებენ ხარისხიან პროდუქტს, ასრულებენ სამუშაოს და ეწევიან მომსახურებას;
- სხვადასხვა ქვეყნის კომპანიები ან წარმომადგენლობები, რომლებიც საქართველოში აწარმოებენ პროდუქციას და მომსახურებას.
- სახელმწიფო დაწესებულებები და მათზე დაქვემდებარებული დეპარტამენტები.

კომპანიები და ორგანიზაციები, კატალოგში მოხვედრის სურვილის შემთვევაში, ავსებენ განაცხადის ფორმას,წარმოადგენენ კატალოგში განსათავსებელ ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის, ორგანიზაციის ან კონკრეტული ბრენდის ამსახველ ფოტომასალას უზრუნველყოფს საქართველოს ხარისხის ფონდი.

## პროექტის მიმდინარეობა

პროექტის განხორციელება დაიწყება კომპანიათა განაცხადების მიღებით. პარალელურად შემუშავდება კატალოგის დიზაინი, ხოლო მონაწილე კომპანიებს დაეგზავნებათ მოთხოვნები კატალოგის აკინძვისათვის საჭირო მასალების წარმოსადგენად. კომპანიათა ლოგოტიპების, ტექსტური და ილუსტრირებული მასალის წარმოდგენისთანავე დაიწყება შიდა დიზაინის დამუშავება.

კატალოგის პრეზენტაცია გაიმართება ქ.თბილისში, 2011 წლის 2 დეკემბერს, ევროპის ხარისხის ორგანიზაციის 117-ე გენერალური ანსაბლეის ფარგლებში. პრეზენტაციას 34 ქვეყნის ხარისხის ნაციონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ყველა მონაწილე კომპანიის (ორგანიზაციის) წარმომადგენელი და სხვა საპატიო სტუმრები დაესწრებიან.

კატალოგი უფასოდ გავრცელდება საქართველოში მოქმედ დიპლომატიურ მისიებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში საზღვარგარეთ, ევროპის ხარისხის ორგანიზაციაში და საქართველოს ხარისხის ფონდის პარტნიორ კომპანიებში.

## მოთხოვნები

საჭირო ინფორმაციის მოწოდება კატალოგისათვის "**BEST QUALITY OF GEORGIA**" ხდება ტექსტური და ილუსტრირებული მასალის სახით, ელექტრონული ვერსიით.

1 მოთხოვნები ელექტრონული სახით წარმოდგენილი ინფორმაციისადმი:
აუცილებელია ინფორმაცია განთავსდეს **CD-R an CD-RW** დისკზე, არა უმეტეს **700 Mb** მოცულობისა, ან **DVD** ფორმატის დისკზე

2 ილუსტრირებული მასალა:
- ფორმატი **TIFF** (კომპრესიის გარეშე)
- ფერის მოდელი - **RGB**, **Grayscale**
- გამოსახულების ზომა – 800 დან 1600 პიქსელამდე

3 ლოგოტიპები:
ვექტორული ილუსტრაციები, მომზადებული **Adobe Illustrator**, **FreeHand da CorelDraw**, უნდა იყოს ჩაწერილი **EPS formatSi** (**CorelDraw-dan** ისლუსტრაცია ექსპორტირებული **EPS Placeable** ფორმატში, **FreeHand-dan Macintosh EPS/EPS with TIFF Preview PC-Tvis**, **FreeHand Document-s** გარეშე, **Adobe Illustrator**-ში **as Illustrator EPS**)

4 მოთხოვნები ტექტსური ბლოკისადმი

საინფორმაციო-სარეკლამო ტექსტი პროდუქტისა და მომსახურების სამომხმარებლო თვისებებზე, ასევე კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფაილის ფორმატი - **MS Word**
- სრული ტექსტური ინფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 500 ბეჭდვით ნიშანს

ინფორმაციის განთავსება კატალოგში
**BEST QUALITY OF GEORGIA**

ტარიფები მოცემულია ევროებში, დღგ-ს გარეშე

| | გადახდა კონტრაქტის ხელმოწერიდან 5 დღეში | გადახდა კონტრაქტის ხელმოწერიდან 25 დღეში | გადახდა კონტრაქტის ხელმოწერიდან 45 დღეში |
|---|---|---|---|
| ერთი გვერდი (მარცხენა) | 600 | 750 | 900 |
| ერთი გვერდი (მარჯვენა) | 700 | 850 | 1000 |
| ორი გვერდი (ერთი ფურცელი) | 1000 | 1250 | 1500 |
| 2 გვერდი, განშლა | 1500 | 1750 | 2000 |
| 3 გვერდი, 1 განშლა | 2000 | 2250 | 2500 |